№ 2957
კვირა,
27 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2957
კვირა,
27 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ა. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა **არის**

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და იასკოვის სავაჭრო სახლიდან.

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს **„ექსელანს"**-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—35)

მ ო წ ო დ ე ბ ა

ყველა **მანდილოსანთ** ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.

ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილ სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით ვაჭრობა შეფერხდა. ამიტომ

ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის

სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს **125.000 მანეთის** საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,

ნ ი შ ნ ა ვ ს

დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ **საფაბრიკო ფასებით.**

გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქაღალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.

ისყიდება შეუვაჭრებლად (10—1)

მშობლები კნეინა ოლღა ივანეს ასული და ძმა ლუარსაბის ძე და და დარიკო და ძმა ალიკო თავ. ლუკა ლევანის ძე და კნეინა ნინო დიმიტრის ასული ფალავანდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლის

თავ. იასონ ილიას ძის ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება 30 ნოემბერს ს. კნოლევის ეკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებული. ამასთან განუზომელ მადლობას უცხადებთ, ვინც დეპეშით და წერილებით გვანუგეშა. (1—1)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კვირას, 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე, „ტფ. სობრანიე"-ს საზაფხულო სადგომში (მიხ. ქუჩა, მიხ. საავადმყოფოს გვერდით) დანიშნულია **მ ი ტ ი ნ გ ი** ტფილისის იმ სახლისპატრონებისა, რომელთა მამულები დაგირავებულია ბანკებში. (2—2)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ე. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. აზვეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—32)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—31)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. ბ უ რ ვ ე ნ ო ვ მ ა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—27)

ტფილისი, 27 ნოემბერი.

ყველაფერი აირ-დაირია, ყველაფერი აიწეწ-დაიწეწა! შინ და გარედ, ძველი და ახალი, მთავრობა და ხალხი, მდიდარი და ღარიბი, სომეხი და მაჰმადიანი, ყოველივე ერთი მეორეს ებრძვის, ერთი მეორეს უთხრის სამარეს და ეს საყოველთაო ომი, ეს გაკაჟებული ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ ჯოჯოხეთურ წყვდიადში ახვევს ჩვენ მრავალ-ტანჯულ-ქვეყანას, რომელსაც სრული განახლება სწყურიან და სწამს, რომ ბნელს უმთვარო ღამესაც გასტეხს მზის გამაცხოველებელი შუქი.

სრული ათი დღეა, რაც მთელ ქვეყანას მოვწყდით, არსაიდან ნამდვილი ცნობები არ მოგვდის და ყოველგვარ აურზაურისთვის გამზადებული გონება ულონოდ აწყდება, ვინ იცის, ვის ოცნებისაგან შეთხზულ ხმებს. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მტკიცე გაფიცვამ უეცრივ დაარღვია რუსეთის იმპერიის ნაქები მთლიანობა და უმისოდაც მოშლილ ცენტრალიზმის ბიუროკრატიულ მანქანას სულერთიან გამოაცალა ძალა. შავი ზღვის ესკადრის მეზღვაურებმა თავ-განწირულის სიმამაცით და თავისუფლების უზომო სიყვარულით ჭეშმარიტად თავზარი დასცეს კუდ-მოკვეცილ კონსტიტუციის დამცველებს და საკუთარის სისხლით მორწყვს უიმისოდაც ძვლებით გაჭედილი გზა ხალხის ბატონობისა. ასეთივე გულწრფელი სიყვარული და მედგარი ერთულობა დაუტკიცე კიევის ჯარმა ხალხის სრულს ბატონობას...

სარევოლიუციო ენერგია გასალკლდევდა, დაჰკარგა შიში და ელვის სისწრაფით მიიწევს თავის ლოღიკურ დასკვნისაკენ,—უკიდურეს პარტიების წარმომადგენელთაგან დროებით მმართველობის შედგენისაკენ.

რევოლიუციის განვითარება—ხალხის ძლიერების ზრდა არის, იგი მაჩვენებელია ზნეობის გამარჯვებისა ძალმომრეობაზე. რევოლიუცია მთელს სახელმწიფოს ორ ბანაკად ჰყოფს, რომელთაგან ერთი ხიშტზე ამყარებს თავის იმედებს და მეორე სამართლიანობაზე. სამართლიანობის ბანაკი დღითი-დღე ახალ-ახალ ტერრიტორიას იპყრობს და ხიშტის მოტრფიალეებს ფეხ და ფეხ მისდევს უკან აწმყოდან ისტორიის სამფლობელოში გადასაგდებლად. ჩვენ ხალვათის გულით და აღტაცებულის გრძნობით მივყვებით განთავისუფლების საერთო ფერხულს, მაგრამ... მაგრამ აგერ ჩვენს მეზობლად მუხანათური ცეცხლი აანთეს, ცეცხლი ეროვნულის მტრობისა, რომელიც თანდათან დაგვიახლოვეს, და ლამის ალში გაჰხვიონ მთელი ტფილისი.

ვინ არის დამნაშავე, ვის ედება ეს სამარცხვინო ბრალი?—ეხლა ამის გამოძიების დრო არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ხალხს, მშრომელ ხალხს ერთმანეთთან არაფერი არა აქვთ სადავო, არაფერი აქვს გასაყოფი და, ვინც უნდა იყოს ეროვნულ მტრობის დამთესი, ის უთუოდ მშრომელთა მტერია, რომელსაც აღიაქოთის გამოყენება ჰსურს თავის ბიწიერ ინტერესებისთვის. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნული ბრძოლა, ეროვნული ომი სომხებისა და თათრებისა ორივე ეროვნების მშრომელ ნაწილისთვის საზარალოა და მავნებელი, ვიცით ეს—და ამ ჟამად ჩვენთვის ესეც საკმაოა. აქედან წარმოსდგება ჩვენი მოვალეობა, ჩავდგეთ გაფანატიკოსებულ სომხის და თათრის მშრომელ ხალხის შუა, მივმართოთ მათ გულწრფელის სიტყვით, განვუმარტოთ მათ შორის ჩამოგდებულ მტრობის უნიადაგობა, მოუწოდოთ შერიგებისთვის და ორივე ერს ავაცილოთ თავიდან ის უბედურება, რომელიც დღეს შავი ყორანივით დასჩხავის ზემოდან.

სომხებს და თათრებს *)

თქვენ, სომხებო და თათრებო, ჩვენო მეზობლებო და ძმებო, მოგმართავთ ძმურის სიტყვით.

რა აზრი აქვს, ძმა რომ ძმას ჰკლავს და ასს და ათას უდანაშაულო ხალხის სისხლი ილვრება?! ჩვენ ხომ მეზობლები ვართ და მეზობლებად დავრჩებით მთელი საუკუნოები?!

ბოლო არა აქვს თქვენს განხეთქილებას. ბნელ ძალთაგან ერთ ადგილას დაწყებული შეტაკება ნამდვილ ომად გადაიქცა და თქვენის და-ძმათა სისხლით ირწყვება ჩვენი მშვენიერი ქვეყანა. სად მიგვიყვანს ეს საშინელება? იმ დიდებულ ისტორიულ მომენტის დროს, როდესაც რუსეთის ხალხებმა შეაერთეს თავიანთი ძალები და ახალ ცხოვრებას აწყობენ, როცა ამ შეერთებულ ძალებით უკეთეს მომავალს იმზადებენ, ჩვენ ერთმანეთის გაჟლეტას შევუდექით, შეიარაღებულნი ვდგევართ ერთი მეორის წინააღმდეგ და საკუთარის ხელით ვანგრევთ საერთო საქმეს, მზადა ვართ ნანგრევებად ვაქციოთ საერთო სამშობლო.

გონს მოდით! შესწყვიტეთ ეს ველურობა, ნუ ირცხვენთ თავს მთელ განათლებულ ქვეყნის თვალში! ეხლა დრო არ არის დამნაშავენი ვეძიოთ; არ გეკადრებათ, შურის ძიების გრძნობას აჰყვეთ! შერიგდით და შეერთდით საერთო საქმისათვის, თავისუფალ ძლიერ კავკასიის ფედერაციის შექმნისათვის, იმ ფედერაციისა, რომელიც ერთნაირსა და სამართლიან მფარველობას გაუწევს ყველა ხალხის ინტერესებს.

ჩვენ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, გიწვევთ თქვენ ერთობისა და სოლიდარობისაკენ, გიწვევთ საერთო საქმისაკენ: ვიბრძოლოთ საერთო თავისუფლებისათვის, საერთო ბედნიერებისათვის. კმარა ამდენი ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა; და თუ თქვენ არ შესწყვეტთ ამ ხოცვა-ჟლეტას, არ გაგვიგონებთ და მოისურვებთ უთუოდ სისხლით მორწყოთ ჩვენი სამშობლო, იცოდეთ, რომ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მთელის ჩვენის ძალ-ღონით აღვსდგეთ და დავსაჯოთ დამნაშავენი, რომელნიც უაზრო მტრობით ღუპავენ საერთო საქმეს და შეუძლებლად ხდიან საერთო მუშაობასა და მეზობლურ ცხოვრებას.

შეგნებულ მაჰმადიანებსა და სომხებს მოგმართავთ ქართველები ძმურის მოწოდებით—შესწყვიტეთ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა და ჩვენთან ერთად იბრძოლეთ უკეთეს მომავლის მოსაპოვებლად და ჩვენ საერთო ძვირფას სამშობლოს აყვავებისათვის.

ხოცვა-ჟლეტა ტფილისში

მტრის გასახარელი საქმე დაემართა ტფილისს. საშინელი და აუწერელი უბედურება დაგვატყდა თავს. სომეხთა და მაჰმადიანთა დაუსრულებელმა მტრობამ და ხოცვა-ჟლეტამ ტფილისშიაც იჩინა თავი და როგორც ქართველობა, ისე სხვანი ამ საზიზღარმა ამბავმა დიდს საგონებელში ჩააგდო. ჯერ ძნელია იმისი თქმა, როგორ და რანაირად დაიწყო და ან როგორ დაბოლოვდება ეს საშინელება. დაუჯერებელია, რომ ტფილისში მაჰმადიანებს დაეწყოთ ეს საქმე, იმდენად ცოტანი არიან. დამწყები ბოროტი ძალაა, რომელსაც წყლის ამღვრევა უნდა, რომ ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგრამ დაწყებულის გაძლიერებაში და ხოცვა-ჟლეტის რაღაც წყურვილში, საზოგადოდ, დიდი ბრალი მიუძღვის ორივე ხალხის წარმომადგენლებს, რომელთაც ისტორია თავის დროზე პასუხს მოსთხოვს.

განჯაში მომხდარ შეტაკების შემდეგ ტფილისში ბევრი სომხობა ჩამოვიდა და თავიანთ თანამოძმეებს იქაურ საშინელ ამბების გავრცელებით მოთმინების ძაფი გაუწყვიტეს. ტფილისში სომეხთა შორის რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. ხალხში რაღაც შიშის ხმები ისმოდა. კმაროდა ერთ თავაღებულ ხულიგანის გახმაურება, რომ მთელი ქალაქის დუქნები იკეტებოდა, ხალხი თავზარ დაცემული გარბოდა. ყოველ უბანში კრებები იმართებოდა და თავდაცვის თადარიგს სწევდნენ. 20 და 21 ნოემბერს ღამ-ღამობით ქალაქის უბნებში რევოლვერისა თუ თოფის ხმა ისმოდა. 19 ნოემბერს დილით ნეკრასოვის ქუჩაზე, იმ ადგილს, სადაც ავჭალის ტრამვაის სადგურია, შემდეგი ამბავი მოხდა: ვაგონში მჯდარა ორი მუშა თათარი, რომელნიც ვოგზლისაკენ მიეშურებოდნენ. ვიდრე ვაგონი დაიძროდა, ზედ ავიდა ოთხი სომეხი. ერთი სალდათის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ამათ გამოუცხადეს თათრებს, უნდა გაგჩხრიკოთო. თათრებმა უთხრეს, რა ნება გაქვთ, რომ გაგვჩხრიკოთ; ეხლა თავისუფლებაა, მთავრობაც კი აღარა გვჩხრიკავს და თქვენ ვინა ხართო. ამისდამიუხედავად სომხები შეუდგნენ თათრების გაჩხრეკას. შეიკრიბა დიდძალი ხალხი. ერთ თათარს ჯიბიდან ამოაცალეს რევოლვერი და, როგორც ხალხი ამბობდა,—ფულიც. თათრები მეტად შესწუხდნენ. რამდენიმე კაცი შემოეხვია თათრებს და ეხვეწებოდა, ნუ შეატყობინებთ თქვენებს, რადგან შესაძლებელია ცუდი საქმე მოჰყვესო. საკერავ მანქანებით მოვაჭრე აგარონოვმა თათრებს ცხრა მანეთიც მისცა და სთხოვა, რომ ამ ამბავს ნუ აცნობებთ მაჰმადიანებსაო.

22 ნოემბერს პირველად სროლა ასტყდა პოლიციის მე-6 ნაწილში. საღამოს 8 საათზე თათრის მოედანზე ეტლით მისულა ორი უცნობი კაცი. იქ ერთს ადგილს თათრის ყასბები მდგარან. ერთს უცნობს ამოუღია რევოლვერი და უსროლია ჯგუფად მდგომ თათრებისთვის. ტყვია ორჯელ დაუხლია და დაუჭრია ერთი თათარი. უცნობებს გამოუტრიალებიათ ეტლი და ჩაუხვევიათ ავლაბრის ხიდისაკენ. თათრებსაც რევოლვერები მიუყოლებიათ. ამ ამბავს თავზარი დაუცია ამ კუთხის მცხოვრებთათვის. მოულოდნელობით შეშინებული ხალხი მსწრაფლ მიფანტულა. სახლებიდან სროლა ამტყდარა. ამავე ღამეს მთელს ქალაქში საშინელი ხმები გავრცელდა. ზოგი ამბობდა, ამა და ამ ქუჩაზედ, ესა და ეს სომხის სახლობა ამოხოცეს, ზოგი—ბორჩალოდან თათრები მოდიანო და სხვა.

ამით დაიწყო სროლა და ხოცვა ტფილისში. აქვე მოგვყავს მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობა.

22, 23 და 24 ნოემბერს დახოცილთაგან მიხეილის სამკურნალოში მიიტანეს სულ 19 გვამი. ამათგან თუთხმეტი მაჰმადიანია, სამი სომეხი და ერთი ქართველი- დაჭრილი მიიყვანეს 32 კაცი. აქედან გარდაიცვალა ორი ქართველი—სანდრო მაზიაშვილი და გიორგი მგალობლიშვილი და ერთი მაჰმადიანი. საავადმყოფოში წევს ორი ქართველი და სამი სომეხი; დაჭრილთაგან ყველანი მაჰმადიანები არიან, გარდა ერთის გერმანელის—სახელოსნოსასწავლებლის მასწავლებლის გუსტავ ტროიმანისა, რომელიც სასიკვდილოდ არის დაჭრილი. გარდა ამისა 4 ქართველი, 4 თათარი და 2 სომეხი ისე მსუბუქად არიან დაჭრილნი, რომ თავიანთ ფეხით დაიარებიან სამკურნალოში. როგორც გავიგეთ, დაჭრილი და მოკლული ამათ გარდა სხვაც ბევრია. ბევრი კაცია დაკარგული, რომელთა ვერც ასავალი გაიგეს, ვერც დასავალი.

სომეხ-თათართა შეტაკება განჯასა და აგქოსკენ

გენერალ მალამას დეპეშა, ნამესტნიკთან გამოგზავნილი 22 ნოემბერს დილით:

„მცხოვრებთა წარმომადგენელნი გუშინ საღამოს რვა საათზედ შერიგდნენ და დაიშალნენ. მაგრამ ცხრა საათიდან ისევ სროლა ასტყდა და მთელ ღამეს არ დამცხრალა. საჭიროა ორი ბატალიონი და ორი ესკადრონი დრაგუნისა".

მეორე დეპეშა, გამოგზავნილი 22 ნოემბერს ნაშუადღევს:

„გენერალი თაყაიშვილი ავად გახდა. გარნიზონის უფროსად დავნიშნე გენ. ფლეიშერი. მაზრაში თითო ჯარის უფროსია. ქალაქში სიწყნარეა, მოველაპარაკე მაჰმადიანებს და სომხებს. იმედი მაქვს, რომ ნორმალური ცხოვრება აღდგენილ იქნება. შეიარაღებული თათრები მაინც კიდევ მოდიან ქალაქში".

მესამე დეპეშა 22 ნოემბერს საღამოს გამოგზავნილი:

„მცხოვრებთა წარმომადგენლებმა პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ მტრობა მოსპონ. მაზრაში მიდიან მშვიდობიანობის ჩამომგდებ კომისიის წარმომადგენელნი."

განჯის რკინის გზის მოსამსახურეთა დეპეშა:

„ჩვენ, რკინის გზის მოსამსახურეთ, აღარ ძალგვიძს აქ დარჩენა. გთხოვთ იმდენი მატარებელი გამოგზავნოთ, რამდენიც დასჭირდება ჩვენის ცოლშვილის გადაყვანას და ავეჯის გადატანას. სადგურს ძრიელ ცოტა ჯარი ჰყავს დასაცველად. სადგურზედ აუარებელი ისეთი საქონელია, რომ ადვილად შეიძლება აფეთქება."

განჯა. 24 ნოემბერი. მემანქანეებმა და კანდუქტორებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე. საჭიროა დაუყონებლივ გამოიგზავნონ რკინის გზის ბატალიონის მემანქანენი და კონდუქტორები, ექვს-ექვსი ბრიგადა, რადგან ლიანდაგის თითქმის ყველა დარაჯებმა შიშით სადარაჯოებს თავი მიანება. მეტადრე ხიდების საყარაულოთ აუცილებლათ საჭიროა ჯარის-კაცები.

განჯა. 24 ნოემბერს, შერიგების შემდეგ, როდესაც პატრულებს ფურგუნებით სომხები მიჰყავდათ და იმათი ბარგი მიჰქონდათ, ვიღამაც სროლა ასტეხა. პატრულებმა სროლითვე გასცეს პასუხი. მოკლულ იქმნა ერთი ყაზახი და დაჭრილ ორი სალდათი.

კოვლიარი. 22 ნოემბერს მე-416 ვერსზე, ლიანდაგის კაზარმაში, ყეენი გამოსჭრეს უფროს მუშის ცოლს და გაქურდეს მუშების სადგურები. ახლო-მახლო სოფლებიდან სომხების ბრბო ეცემა თათრების სოფლებს და ანადგურებს. გამოგზავნეთ დასაცველად ჯარი. მოსამსახურები დამფრთხალნი არიან.

ყარაიაზი. (24 ნოემბერი). სოფელ ნაზარლოში ცხენოსანი თათრები არიან. გაძარცვეს ადამოვის და შურალოვის მამულები. სადგურიდან ჯარი გაიგზავნა.

სევასტოპოლის ამბები

რუსეთის სამხედრო მთავრობამ გაიმარჯვა: ერთი ჯავშნიანი გემი, სამი ნაღმიანი გემი და ერთი სანაღმო ტრანსპორტი ჩაძირულია, ერთი ჯავშნიანი გემი გაფუჭებულია, ორი ათასი კაცი დატყვევებული, ბევრი მოკლული და დაჭრილი, მათ შორის ერთი ადმირალიც—ლეიტ. შმიდტი

---

*) ეს პროკლამაცია გამოსცა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ.

დაჭრილია და დატყვევებული. მერე, ვინ არის ასე საშინლად დამარცხებული? ისევ რუსეთის ფლოტი, — ის ფლოტი, რომელიც იაპონელებმა თითქმის სრულიად გაანადგურეს. აი, რაც ამათ გადურჩა, დღეს მთავრობამ დაღუპა. რუსეთის ფლოტი ისედაც არაფერი იყო და ახლა ხომ სრულიად სათვალავში აღარ არის ჩასაგდები.

აი, სანამდის მივიდა საქმე! მხედრობაც ორ ნაწილად იყოფა. ფლოტს ხმელეთის ჯარიც არ რჩება უკან. ამნაირად, ეს უკანასკნელი ძალა თვითმპყრობელობისა ინგრევა... სევასტოპოლმა ეს მეორედ გააფრთხილა რუსეთი, ეს მეორე ისტორიული გაკვეთილია, რომელსაც უეჭველად დიდი შედეგი მოჰყვება. მაგრამ, ეს გაკვეთილიც უნაყოფოდ ჩაუვლის დღევანდელს მთავრობას, რადგან მას არც ზნეობრივი, არც გონებრივი ძალა აღარ აქვს, ამიტომ ახალის ძალით ისევ ხალხი მიაქცევს ყურადღებას, ისევ ხალხი ისარგებლებს ახლად გამოსულის ელემენტით... მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა-კი ვნახოთ, რა მოხდა სევასტოპოლში.

როგორც იცით, იქაურ მატროსებს შორის კარგა ხანია აღელვება ჰსუფევს. ნოემბრის მეათე რიცხვებიდან მიტინგები ჰქონდათ და სხვა და სხვა მოთხოვნილებებს არკვევდნენ. შემდეგი ამბები მკითხველებმა იციან: ამას წინად ვრცლად გვქონდა აწერილი. 15 და 16 ნოემბრის ამბებს ყრუდ გადმოგვცემენ ოფიციალური დეპეშები. „15 ნოემბერს, ვკითხულობთ ერთ დეპეშაში, აჯანყებულ მატროსებს შეუერთდნენ გემები „ოჩაკოვ“ და „პოტემკინ“ და რამდენიმე სანაღმო გემი. ლეიტენანტ შმიდტმა იკისრა აჯანყებულ ესკადრის მეთაურობა. სევასტოპოლის ხმელეთის ჯარის უმრავლესობა მთავრობის მხარეზეა. გარნიზონის უფროსმა წინადადება მისცა აჯანყებულთ — იარაღი დაჰყარეთო, მაგრამ ამათ უარი შეუთვალეს. ხმელეთიდან ამის შემდეგ ზარბაზნები დაუშინეს მეამბოხეთ. ბრძოლა გაგრძელდა ნაშუადღევის სამი საათიდან 5½ საათამდე. აჯანყებულ გემებს ესროდნენ როგორც რამდენისამე გემიდან, ისე ხმელეთის ბატარეებიდან. ერთი გემი ჩასძირეს, „ოჩაკოვ“-ზე ცეცხლი გაჩნდა, ნაღმიანი გემები ზოგი გაირიყა, ზოგიც დაიღუპა. აჯანყებულთ თეთრი დროშები აღმართეს. თვითონ შმიდტი დაჭრილ იქმნა და გაქცევას აპირებდა, მაგრამ შეიპყრეს. ბოლოს, ბელოსტოკის პოლკმა იერიში მიიტანა ზოგიერთ ბატარეებზე, რომელნიც მატროსებს მიუდგნენ, და დაიპყრა ისინი. აგრეთვე აიღეს იერიშით მატროსთა ყაზარმები. მოკლული და დაჭრილი ორთავე მხრით ბევრია, მაგრამ დანამდვილებით ჯერ ცნობაში არაა მოყვანილი“.

უადგილობის გამო დანარჩენ ცნობებს დღეს ვეღარ ვბეჭდავთ და შემდეგ მივაწვდით მკითხველთ.

საზოგადოების საყურადღებოდ

გურიაში, ბახვის სოციალდემოკრატიულ სარაიონო ორგანიზაციასთან დაარსდა კომიტეტი. ამ კომიტეტს ხალხმა დაავალა მიიღოს და დაანაწილოს ის ფული, რომელიც გროვდება სხვა და სხვა ადგილას ყაზახების მიერ გადამწვარ-დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

კომიტეტი მიმართავს თხოვნით რედაქციებს, საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც იკისრეს ფულის შეგროვება, საჩქაროდ მოაწოდონ უკვე შეგროვილი ფული, რადგან უსახლკაროდ დარჩენილი მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარება. ზარალი დაახლოვებით 80 ათას მან. აღემატება. ნამდვილ ანგარიშს კომიტეტი ახლო მომავალში წარმოადგენს, როცა საზოგადოებასთან ერთად გადასინჯავს შემფასებელ კომისიის მიერ წარმოდგენილ სიას.

ფულის გამოგზავნა შეიძლება კომიტეტის თავმჯდომარის ადრესით: ოზურგეთი, ექიმ გიორგი კონსტანტინეს ძეს ჭოლოშვილს.

კომიტ. თავმჯდომარე: გ. **ჭოლოშვილი**,
ხაზინადარი: **ნინო ნაკაშიძე**.
წევრები: **ისააკ ბასილაიშვილი, კარპე ბარამიძე, ამბაკო მგელაძე, ნესტორ ხაფთასი, გლახუნ ჩიტაიშვილი.**

ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განცხადება.

რედაქციისაგან. ჩვენს რედაქციაში დაზარალებულთა სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით ორას თუმანზე მეტი შეგროვდა. რამდენიმე დღეა ამ ფულის გაგზავნა განვიზრახეთ გურიაში, მაგრამ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების გაფიცვის გამო ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანეთ და როგორც იქნა 500 მანეთი კერძო პირს გავატანეთ, დანარჩენი შეგროვილი ფული ტფილისში დაარსებულ დაზარალებულთა შემწე ფონდის ბიუროს გადავეცით. ფონდის ბიურო, როგორც გავიგეთ, ამ დღეებში ჰგზავნის ფულს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან) *)

კიევი, 25 ნოემბერი. დღეს ქალაქში ხმა გავარდა, გრაფი ვიტტე ახალ კაბინეტს ადგენსო; ამ კაბინეტში შევლენ პეტრუნკევიჩი — შინაგან საქმეთა მინისტრი, პროფ. გერცენშტეინი — ფინანსთა მინისტრი, კუზმინ-კარავაევი — იუსტიციის მინისტრი, ევგენი ტრუბეცკოი — სახალხო განათლებისა.

18 ნოემბერს აქ აჯანყდნენ საპონტონო ნაწილის საპიორები, არტილერისტთა ნაწილი და სხვა ჯარი. უკმაყოფილონი თოფებით ებრაელთა მოედანზე გავიდნენ. შეტაკება მოხდა სხვა ჯართან. ბევრია მოკლული და დაჭრილი. შემოღებულ იქმნა საომარ დროის წესები. გაიფიცნენ ფაბრიკები, ქარხნები. ელიან რკინის გზის გაფიცვას. ორი დღეა გაზეთები არ გამოდის.

ამ უკანასკნელ სამ დღეს, სომეხ-თათართა შეტაკების გამო, ტფილისის სტამბებში მუშაობა შეჩერდა. ამის გამო როგორც ჩვენი, ისე სხვა გაზეთები არ გამოსულა. ამავე მიზეზით დღეს ნახევარი ნომერი გამოდის. დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიანი დამატებაც.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 26 ნოემბერს სამხედრო შტაბში მოხდა სამხედრო მიტინგი. შეიყარა მრავალნი აფიცრობა და სამხედრო ჩინოვნიკობა. ამათ მიტინგზედ დაადგინეს მონაწილეობა არ მიიღონ მიტინგში საპიორის ბატალიონების აფიცრობამ, და „ზაპასნოი“ აფიცრობამ, პოლკების აფიცრებიც ძალიან ცოტანი მოვიდნენ.

მიტინგზე დიდხანს ილაპარაკეს და წარმოსთქვეს, რომ ნამესტნიკს ჰსთხოვონ ის იარაღი, რომელიც დაურიგდა ხალხს, უკან ჩამოართვიო.

ეს დადგენილება გუშინვე ნამესტნიკს გამოუცხადეს და თანაც დაუმატეს: თუ ამ დადგენილებას არ შეასრულებთ, დღესვე სამსახურს თავს დავანებებთო.

◆ **რა ხდება პეტერბურგში.** „ნოვ. ვ.“-ი გვაუწყებს, რომ 17 ნოემბერს სახელმწიფო ბანკი 100 მანეთიან სახელმწიფო ქაღალდის გიროდ 37 მ. 27 კაპ. იძლეოდა. ბევრს დიდ მოხელეს და არისტოკრატს თავისი ფული სამზღვარ-გარედ გადააქვს. ორი სამი დღის განმავლობაში შვიდ კაცს გადაუტანია 3½ მილიონი მანეთი. ამგვარი მდგომარეობა დიდ არეულებას იწვევს პეტერბურგში და ამ არეულობას მხედრობაზედაც დიდი გავლენა აქვს. 16 და 17 ნოემბერს ცარსკოე სელოში, სადაც ხელმწიფეა, დაუპატიმრებიათ კირასირის, გუსარის და მსროლელ პოლკების ჯარის-კაცები. ფიქრობენ, რომ ესენი არიან მოთავეები სალდათთა მოძრაობისა, რომელმაც ცარსკოე სელოშიაც იჩინა თავი.

◆ **გენ. შირინკინის გადადგომა.** კავკასიის პოლიციის უფროსმა შირინკინმა ქაღალდი წარუდგინა ნამესტნიკს და სთხოვა პოლიციის უფროსის თანამდებობისა და კანცელარიის გაუქმება.

◆ **სოციალ-დემოკრატების რაზმები.** სოც.-დემოკრატიის პარტიამ 1,200 თოფი, მთავრობისაგან მიღებული, თავის კაცებს დაურიგა და რაზმები შეადგინა. ეს რაზმები დღე-ღამე ყარაულობენ ქუჩებს, უფრო იმ ადგილებში, სადაც სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკებაა მოსალოდნელი.

◆ **მშვიდობიანობის დამცველი რაზმები.** რაც სომეხ-თათართა შეტაკება დაიწყო ტფილისში, ქართველ სოციალ-ფედერალისტების რაზმები მხნედ შეუდგნენ მოქმედებას და ქალაქის სხვა და სხვა უბნებში დაიწყეს დღე და ღამ დარაჯობა. მასთან ერთად მოქმედებდა სანიტარული რაზმიც. ასე მუშაობდნენ სხვა სარევოლიუციო პარტიებიც. 24 ნოემბერს ერთად შეიკრიბნენ ყველა სარევოლიუციო პარტიების წარმომადგენელნი, რომ შეთანხმებულად ემოქმედნათ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად და წესიერების დასაცველად. წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს საერთო ბიუროს დაარსება, რომელშიაც იქნებოდა 10 დელეგატი სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებისაგან და 6 — სოც.-ფედერალისტების, სოც.-რევოლიუციონერებისა და სომეხთა დაშნაკციუტუნის პარტიისაგან (თითო ორგანიზაციას ეყოლებოდა ბიუროში ორი წარმომადგენელი). ბიურო იქნებოდა საერთო მოქმედების გამძღოლი. გეგმის შემდგენი მიიღებდა ყოველსავე ღონეს, დაანაწილებდა პარტიების რაზმებს შორის იმ იარაღს (1200), რომელსაც, სოც.-დემოკრატების წინადადებით, ადგილობრივი მთავრობა დაჰპირდა რაზმებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს პარტიების წარმომადგენლებმა დილას, მაგრამ საღამოს, როდესაც უნდა შეკრებილიყო ბიურო და დაეწყო შეთანხმებული მუშაობა სომეხ-თათართა უთანხმოების მოსასპობად, ახლად მოსულმა სოც.-დემოკრატმა განაცხადა, ამ დილას რომ სოც.-დემოკ. წარმომადგენელი იყო თქვენთან და შეგეთანხმათ, იმას არა ჰქონდა ამისი უფლებაო, და უარი სთქვა ბიუროში მონაწილეობის მიღებაზე. მთელი საქმე უნდა ვიკისროთ მხოლოდ ჩვენ, სოც.-დემოკრატებმა, და სხვა პარტიებს თუ უნდათ მუშაობა, უნდა იმუშაონ ჩვენის მეთაურობითო. სხვა პარტიებმა, რასაკვირველია, უარჰყვეს ამგვარი ახირებული წინადადება და ბიურო დაიშალა. ყველა პარტიები ცალ-ცალკე მოქმედებენ.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი.** ეს მოხელენი ისევ მხნედ და მედგრად განაგრძობენ გაფიცვას. პირველ ხანს, უფულობის გამო, საგონებელში იყვნენ. მაგრამ მერე გაფიცულთ სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი დაეხმარნენ და სესხად ფული მისცეს.

◆ **რკინის გზის ტელეგრაფის მუშაობის განახლება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფისტები მუშაობას შეუდგნენ 25 ნოემბერს ნაშუადღევს 3 საათზედ. მთავრობამ აუსრულა შემდეგი ორი მუხლი, რომელიც მათ მოითხოვეს: 1. უკან იქნენ მიღებულნი ისინი, ვინც ზაფხულის გაფიცვის დროს დაითხოვეს და სხვაგან გადაიყვანეს; 2. სამსახურიდან დათხოვნილ იქმნას ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი გომალიცკი. არჩეულმა დელეგატებმა ეს ამბავი დეპეშით აცნობეს ლიანდაგზე ამხანაგებს და სთხოვეს მუშაობას შეუდგნენ. გომალიცკის ნაცვლად ტელეგრაფის უფროსის თანამდებობის ასრულება დაევალა მიმოსვლის უფროსს ბ-ნ ბერნდს.

◆ **რკინის გზის გამგეობის მოხელენი.** 25 ნოემბერს რკინის გზის სამმართველოს ეზოში მოხდა ამ სამმართველოს მოხელეთა მიტინგი. შეეხნენ სომეხ-მაჰმადიანთა ქლეტახოცვას და ამის გამო გაფიცვას. უმრავლესობამ გაფიცვა უარ-ჰყო. გადაწყვიტეს შეადგინონ სასანიტარო და თავ-დამცველი რაზმები. ბევრი იქვე ჩაეწერა სასანიტარო რაზმში. სთხოვეს რკინის გზის უფროსს, თოფები და რევოლვერები დაურიგოს. უფროსმა მიუგო, ნამესტნიკს უნდა შევეკითხოო.

◆ **ფოთი.** ხალხსა და ჯარს შორის საქმე მეტად გამწვავდა. აქამდის თუ ჯარი უუფროსოდ დაიარებოდა ქალაქში და თავის ნებით სჩხრეკდა მოქალაქეთა სახლებს, ეხლა იგივე ხდება უფროსების ნება-რთვით და ხელ-მძღვანელობით. ამას წინად სულ უბრალო შემთხვევის გამო ქალაქში ჯარმა ასტეხა განუწყვეტელი სროლა, ხალხი შიშმა შეიპყრო და, მიუხედავად პოლიცმეისტერის თხოვნისა, სროლა და ჯარის კაცების თარეშობა არ შესწყდა. ხმა დადის, რომ ფოთის ჯარის უფროსმა ლაპარაკის დროს ამ საგანზე სიტყვით შეურაცხჰყო ფოთის პოლიცმეისტერი აბაშიძე, რომელიც თურმე საჩივარს უპირებს გათამამებულ სამხედრო კაცს.

◆ **ექსარხოსი მიდის.** ორშაბათს, 28 ნოემბერს, პეტერბურგს მიემგზავრება საქართველოს ექსარხოსი ნიკოლოზი. თან მიაქვს ეპისკოპოსების პეტიცია ავტოკეფალიის შესახებ. როგორც გადმოგვცეს, ექსარხოსს უთქვამს დაახლოვებულ პირებისთვის, რომ შობამდის უსათუოდ მიეცემა ქართულ ეკკლესიას ავტოკეფალიაო.

◆ **სომხის დელეგატთა კრება.** 24 დეკემბრისთვის დანიშნულია სრულიად რუსეთის სომხების მიერ არჩეულ დელეგატთა კრება. კრება მოხდება ტფილისში.

◆ **ბაქოს გრადონაჩალნიკი.** ბათუმის გუბერნატორი ფონ-პარკაუ, გაზეთების სიტყვით, ინიშნება ბაქოს გრადონაჩალნიკათ.

◆ **დაჭრილ-დაშავებულთა დამხმარე რაზმი.** ტფილისში შესდგა წრე, რომელიც კისრულობს დაჭრილ-დაშავებულთა დახმარებას.

◆ **გენ. შირინკინის გამართლება.** „ნ. ო.“-ში დაბეჭდილია ნაფიც-ვექილის ს. არუთინოვის წერილი. ამ წერილში ბ-ნი არუთინოვი ესარჩლება გენ. შირინკინს და ამბობს, რომ სომეხ-თათრების შეტაკების დროს შირინკინმა დიდი ღვაწლი და შრომა გასწიაო.

◆ **პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება.** სასტუმრო „გრანდოტელ“-ში რომ ოთხი კაცი დააპატიმრეს ყუმბარების გამო, ამ დღეებში გამოუშვებენ მეტეხის ციხიდან.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ სთხოვენ დაესწრონ მიტინგზე, რომელიც იქნება ორშაბათს 28 ნოემბერს, ვერაზე, არტილერიის ყაზარმებთან. თუ წვიმა იქნა, მიტინგი სამშაბათისათვის გადაიდება.

ქუთაისის ამბები

◆ 20 ნოემბერს ქალაქის ბაღში არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ქუჩები და მოედნები ხალხით იყო სავსე. ამ დღეს ბაღში სალდათების მიტინგი უნდა მომხდარიყო. 12 საათამდე უცადეს, მაგრამ სალდათები არსად სჩანდნენ. ამბავი მოიტანეს, სალდათებს ყაზარმიდან არ უშვებენო. პირველ საათზე გამოჩნდა რამდენიმე სალდათი. ბაღში მიტინგის გამართვა ვერ მოხერხდა, ამიტომ თამარას გორაზე ავიდნენ. მოიყარა თავი ხუთასამდე სალდათმა და რამდენიმე ათასმა გარეშე კაცმა. სიტყვა ათამდე ორატორმა წარმოსთქვა. ყურადღება მიაქციეს სალდათების აუტანელ მდგომარეობას. სალდათებმა ამ დღეს პირველად იგრძნეს, თუ რა განძი ყოფილა თავისუფლება. სიტყვებს სალდათები დიდის ტაშის ცემითა და ურას ძახილით ეგებებოდნენ. წესიერება საუცხოვოდ იყო დაცული.

◆ დრო დიდის სიჩქარით იცვლება. ყოველ დღეს ახალ-ახალი ამბავი და ცნობა მოაქვს. რაც გუშინ შეუძლებელი იყო, დღეს ყველასათვის აშკარა ჭეშმარიტებას წარმოადგენს. გუშინ არავის ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ხოპერის პოლკის ყაზახები თავის მოთხოვნილებას ყაზახებისას ე. ი. მცემელისა და მტყეპელისას, თავის დღეში არ უღალატებდნენ და დღეს იგივე ხოპერის ყაზახი გაიფიცა და თავის მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინა. გუშინ, პირველად რომ გავრცელდა ხმა ყაზახების გაფიცვის შესახებ, არავის სჯეროდა და, მართალი გითხრათ, მეც ეჭვის თვალით შევხედე ამ საქმეს. დღეს საქმე მთლად გამოირკვა — ხოპერის ყაზახები მართლა გაფიცულან და, სხვა მოთხოვნილებათა შორის, ისიც წარუდგენიათ თავის მთავრობისთვის, რომ საპოლიციო მოვალეობას ნუ დაგვაკისრებთო. ყველაფერს წარმოიდგენდა კაცი და ხოპერის ყაზახები თუ საპოლიციო მოვალეობაზე უარს იტყოდნენ, ამას არავინ დაიჯერებდა. სჩანს დრო თავისას შვრება.

◆ გაიფიცნენ ქალაქის პოლიციელნი და ქუთაისის პოლიცმეისტერს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. უმთავრესი მოთხოვნილება ის არის, რომ ჯამაგირს 15 მანეთის მაგივრად 30 ითხოვენ. პოლიცმეისტერმა კარგად იცის ქალაქის კასის მდგომარეობა და დაუკითხავად ქალაქისა უპასუხა, რომ ამ მოთხოვნილების შესრულება შეუძლებელიაო და დარჩა ქალაქი უპოლიციოდ იმ დროს, როცა ლაპარაკი ხულიგანების გამრავლებაზე დღითი დღე მატულობს. ქალაქის დარაჯები გაიფიცნენ თავის ნებით და ვითომ მარაქაში გაერივნენ. თითონ რომ არ მოეფიქრებინათ გაფიცვა, დეკემბრის პირველიდან ქალაქის კასსა ძალა-უნებურად გააფიცებდა მათ. კასსა აქ იმიტომ მოვიხსენიე, რომ პოლიციის ჯამაგირს იხდის ქალაქის კასსა, რომელიც კარგა ხანია დაცალიერებულია. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ნოემბრის ჯამაგირს პოლიციელებისას ქალაქი ვერ გადაიხდიდა და ეს ხომ ძალა-უნებურად გაჰფიცავდა მათ.

◆ ქალაქის კასსის დაცალიერება მარტო ამ მხრით არ არის დასაფიქრებელი — მას უფრო დიდ მნიშვნელოვანი შედეგი მოსდევს. შეიძლება მთლად შეიცვალოს ქალაქის თვითმმართველობა და აი როგორ: ქუთაისის მოქალაქენი ფორმალურად არ გაფიცულან და თავის მოთხოვნილებანი არავისთვის არ წარუდგენიათ, მაგრამ ფაქტიურად გაიფიცნენ და კანონით დაწესებული გადასახადი ქალაქის კასაში აღარ შეაქვთ. გამგეობა ქალაქისა ბევრსა ცდილა, ბევრჯელ მოუგონებია მოქალაქეთათვის მოვალეობა, მაგრამ ამით ქ. კასას არაფერი შემატებია. როგორც იყო, პირველ ნოემბრამდე იჩანჩალა ქალაქის გამგეობამ და დღეს ისიც გაიფიცა ძალა-უნებურად. არ აძლევს ჯამაგირს პოლიციას, ცეცხლის მქრობელთ, საყასბოს მოსამსახურეებს და ყველა მათ, ვინც ქალაქის კასაზეა დამოკიდებული. ამისთანა პირობებში ქალაქის გამგეობა ფაქტიურად ატარებს თავის სახელს და საქმით ვეღარაფერს აკეთებს. ამით ისარგებლეს აქაურმა ორგანიზაციებმა და დაჟინებით წამოაყენეს საკითხი თვითმმართველობის გადადგომისა და ახალ საბჭოს არჩევის შესახებ იმ პირობით, რომ არჩევანი მოხდეს საყოველთაო არჩევით. არის ერთი ნაწილი ხმოსნებისა, რომელიც თანაუგრძნობს ამას.

ამავე დროს გუბერნატორი ახირებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი — პოლიციის დარაჯები აღარ არსებობენ და მარტო პოლიცმეისტერი, სამი ბოქაული და რამდენიმე უბნის ზედამხედველი ქალაქის დარაჯობას ვერ გასწვდებიან, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო უწყება საჭირო რიცხვს ჯარის კაცებისას გზავნის პოლიციის დასახმარებლად. ჯარის კაცებს პატრული უხელმძღვანელოდ, შეუძლებელია გაიგზავნოს ქალაქის სადარაჯოთ — გამოცდილებამ დაარწმუნა აქაური ადმინისტრაცია, რომ ასეთი დარაჯობა ხშირად სიკეთის მაგივრად უსიამოვნობას იწვევს. და ამიტომ, როგორც ჩვენ გვითხრეს, გუბერნატორს აზრადა აქვს, თუ თვით მოქალაქეებმა ვერ მოაწყეს ქალაქის დაცვის საქმე, ეს მოვალეობა გადასცეს სამხედრო უწყებას მარტო მისთვის, რომ პასუხის მგებლობა აიხადოს. ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა მოქალაქეთათვის, რადგან სამხედრო დროის წეს-რიგი ნაწყენვი აქვთ და ქალაქის დაცვის საქმეს რომ სამხედრო უწყებას გადასცემენ, ეს ხომ იგივე სამხედრო წესის შემოღება იქნება. 21 გიორგობისთვეს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც ერთხელ კიდევ აღნიშნა საბჭომ და დამსწრე საზოგადოებამ, რომ ქალაქი აღარ იტვირთებს პოლიციის, ჟანდარმების, საქალაქო ექიმების და ცეცხლის მქრობელ რაზმის შენახვას. შემდეგ ამისა ქალაქის თავმა აცნობა დამსწრეთ, გუბერნატორმა მაცნობა, თუ ქალაქის დაცვის საქმე არ მოაწყო ქალაქმა სულ მცირე ხანში, მაშინ იძულებული იქნება ქალაქის დაცვა სამხედრო უწყებას გადასცესო. საბჭომ საჭიროთ სცნო დროებით შეადგინოს რაზმი ქალაქის დასაცველად და მასთან ერთად ქალაქის მილიციის დაარსების საქმეც მოაწესრიგოს. დროებითი რაზმის მოწყობის საქმე მიენდო კომისიას, რომელიც შესდგება გ. ფ. ზდანოვიჩისა, ექიმის ქორქაშვილისა და ჰიჭინაძისაგან. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს დასახმარებლად მცოდნე პირნი. გარდა ამისა საბჭომ ერთხმად დაადგინა ძველი საბჭოს გადადგომა და ახალის არჩევა, ხოლო არჩევანი უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ, და ფარულის კენჭის ყრით.

◆ ქალაქის მილიციის მოწყობას განსაკუთრებული კომისია, ქალაქის საბჭოსაგან არჩეული, დიდის ენერგიით შეუდგა. წესდება მილიციის მოწყობისა თითქმის შემუშავებულია და თავის დროზე წარუდგენენ დასამტკიცებლად. ამავე დროს იგივე კომისია შეუდგა საშუალების მოპოვების საქმეს მილიციისთვის და პირველ ყოვლისა მიმართეს ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებათ. ყოველ მათგანს ამ საქმისათვის სთხოვეს ხუთას-ხუთასი მანეთი. გადაჭრილი პასუხი ბანკის გამგეთ ჯერ არ უთქვამთ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ უარს არ იტყვიან.

◆ მესამე დღეა, რა ქუთაისში ხორცი აღარ იშოვება. ეს გარემოება მეტად აწუხებს მოქალაქეთ და კარგი იქნებოდა მოსპობილიყო ამისთანა არა ნორმალური მდგომარეობა.

◆ საერობო დარაჯებმა უკანასკნელ არეულობის დროს საკმაოდ ისახელეს თავი. უფროს ერთ შემთხვევაში ეს „დარაჯები“ თითონ თხოულობდნენ დარაჯებს და მშვიდობიან დროს ხომ უდარაჯოდ შეიძლებოდა ცხოვრება. თუ თითო ოროლა გამბედავ კაცს არ მივიღებთ მხედველობაში, უმეტესი ნაწილი დარაჯებისა, როგორც-კი საქმე მიდგებოდა მათზე, შიშისა და ლაჩრობის გამო, თავის მოვალეობის ასრულებას თავს არიდებდა. იმ ნაირად ფაქტიურად საერობო დარაჯები არ არსებობენ.

◆ 19 ნოემბერს მოხდა სხვა და სხვა დაწესებულების მოხელეთა მიტინგი. მიტინგი გაიმართა რეალურ სასწავლებლის დარბაზში. დაესწრო ორასზე მეტი მოხელე, არ იყვნენ მხოლოდ ბობოლა მოხელენი. საგანი კრებისა კავშირის დაარსება იყო. დიდის კამათის შემდეგ კრებამ სასურველად სცნო მოხელეთა კავშირის დაარსება და კავშირებში მონაწილეობის მიღება. წესდების შესამუშავებლად და პროგრამის შესადგენად აირჩიეს კომისია, რომელშიაც მოჰხვდნენ: ბრალმდებლის ამხანაგი ხერსონი, მიწის მზომელთაგან შავგულიძე, გუბერნატორის კანცელარიიდან გეგეჭკორი და ალშიბაია, სახაზინო პალატიდან მალცევი, სახელმწიფო მამულების სამმართველოდან ვერმიშევი, ხაზინიდან ბენედიქტოვი, სააქციზო დაწესებულებიდან კმუნინი, სამაზრო სამმართველოდან მაუბერი, და საეპარქიო კანცელარიიდან კანდელაკი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

---

*) ეს დეპეშა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან სალდათმა მოგვიტანა. რედ.

განცხადებანი

„ალაზანი“
კახეთიის მევენახეთა ამხანაგობამ
დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792
(10 - 10)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.
ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**
(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.